

ဝဓမ္မဗျူဟာ



1. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

იმერეთის ტერიტორიის ფართობი 6 518,8 კმ²-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9,4%-ს შეადგენს. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 236 კმ-ია.



რეგიონს ესაზღვრება სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და გურია.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის შემადგენლობაში შედის თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი და თერთმეტი თვითმმართველი ერთეული: ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოს, ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქუთაისი. ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება უახლოეს საერთაშორისო აეროპორტთან – 20 კმ-ია, უახლოეს საზღვაო პორტთან (ფოთი) – 102 კმ. რეგიონი მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 2 850 მ. სიმაღლეზე.

II. გუნებრივი რესურსები და გარემო

1. მიწათმოქმედ-რეკრეაციული რესურსი

იმერეთის მხარეში მოიპოვება შემდეგი სახის მინერალური რესურსი: ჭიათურის მანგანუმი, ტყიბულისა და გელათის ქვანახშირი, ბარიტის, დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები, ბეტონური თიხები (გუმბრიონი), მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები, ტეშენიტების, ბაზალტის საბადოები და სხვა.

2. ჰიდრო რესურსი

იმერეთის რეგიონში მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რის გარეშეც

წარმოუდგენელია სამრეწველო სექტორის განვითარება. ამჟამად რეგიონში 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხეჰესი, ძვერულჰესი, შაორჰესი. მათ მიერ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება 1400-1500 მლნ. კვტ. საათია (28-29 მლნ. ლარი). ჰიდრორესურსების სიუხვე მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგების და ფუნქციონირების პირობებსაც ქმნის.

3. წყლის რესურსი

რეგიონის ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსით. მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: რიონი, ყვირილა, ცხენისწყალი, წყალწითელა, ჩხერიმელა, ხანისწყალი და სხვა.

იმერეთში მოედინება ასევე ბუნებრივი სამკურნალო წყლები, სუფთა წყაროს წყლები, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლები, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლები და სხვა.

4. სატყეო რესურსი

იმერეთის ტყის ფონდის ფართობი 344,0 ათ. ჰექტარია, რაც საქართველოს ტყით დაფარული ფართობის 12,3%-ს შეადგენს. იმერეთის მხარის ტყიანობის პროცენტი 51,8%-ია. ასეთი ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნის შესაბამისი ბიზნეს საქმიანობის განვითარებისათვის.

ტყით დაფარულ ფართობებზე ყველაზე გავრცელებული ჯიშებია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია, ეკალიპტი და სხვ.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობის დინამიკა. კერძოდ, 1995 წელს იგი შეადგენდა 19 098 მ³, 2000 წელს – 45 270 მ³, 2005 წელს – 103 718 მ³, 2007 წელს – 118 035 მ³.

5. მიწის რესურსი

იმერეთის რეგიონის ტერიტორიის ფართობი 6 518,8 კმ²-ია. მეტად მრავალფეროვანია მხარის ნიადაგები, მათი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი განაპირობებენ ნიადაგის ხასიათს. უპირატესი გავრცელება აქვს: ალუვიურ, სუბტროპიკულ ეწერ-ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-

კარბონატულ და კომრალ ნიადაგებს, რომელიც გამოიყენება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის გასაშენებლად.

6. დაცული ტერიტორიები

იმერეთის მხარე მდიდარია ფლორითა და ფაუნით. მის ტერიტორიაზე ტყის მასივებს 250 ათასი ჰა უჭირავს. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2 850 მეტრია. ფოთლოვან ტყეებთან ერთად აქ შეხვდებით წიწვოვან და შერეულ ტყეებს, კავკასიისათვის დამახასიათებელი ფაუნის წარმომადგენლებს: კავკასიურ დათვს, ტახს, ირემს, შველს, მელას, მგელს და ტურას. ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველთა სამყაროც.

ასეთ ზონებს მიეკუთვნება სათაფლიის, აჯამეთის მუხნარის, ვანის, ჭიათურის, ბაღდათის და განსაკუთრებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელსაც იმერეთში 24 ათასი ჰა ტერიტორია უჭირავს და უმდიდრესია თავისი ფლორითა და ფაუნით. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნებიან ტერიტორიები, სადაც დღეს ტყიბულის, შაორის და რიონჰესის წყალსაცავებია.

იმერეთში მრავლადაა მღვიმეები და სხვა ბუნების ძეგლები. დაცული ტერიტორიები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: სათაფლიის ს.ნ (სახელმწიფო ნაკრძალი); ყუმისთავის მღვიმე ბ.ძ. (ბუნების ძეგლი); ხომულის მღვიმე ბ.ძ.; ცუცხვათის მღვიმოვანი ბ.ძ.; ნავენახევის მღვიმე ბ.ძ.; ნაგარევის მღვიმე ბ.ძ.; იაზონის მღვიმე ბ.ძ.; საკაჟიას მღვიმე ბ.ძ.; წყალწითელას ხეობა ბ.ძ.; ოკაცის კანიონი ბ.ძ.; ოკაცის ჩანჩქერი ბ.ძ.;

დიდი ტბების გარდა, იმერეთში მრავლად გვხვდება ბუნებრივი ტბები 1000 და 1500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. თითოეული მათგანი გვაძლევს მდიდარ შესაძლებლობას ადგილზე ახალი ტურიტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

III. სოციალური და კულტურული კაპიტალი

1. მოსახლეობა


რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – **693.5** ათ. კაცი შეადგინა, რაც საქართველოს მოსახლეობის **15.8%**-ს შეადგენს.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 2006 წლის მდგომარეობით ასეთია:

- ქართველი – 689 924;
- აფხაზი – 388;
- ოსი – 639;
- სომეხი – 1 890;
- რუსი – 4 924;
- აზერბაიჯანელი – 274;
- ბერძენი – 242;
- უკრაინელი – 636;
- იეზიდი – 56.

2009 წლის მონაცემებით მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში ასე ნაწილდება:

მოსახლეობის რიცხოვნობა მუნიციპალიტეტების მიხედვით



რეგიონში 2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ 8397 კაცი შეადგინა, რაც 2008 წელს სულ დაბადებულთა რაოდენობის 14.8%-ია, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.9%-ით აღემატება.

2008 წლის მონაცემებით გარდაცვალებულთა რაოდენობამ 7659 კაცი შეადგინა, რაც საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობის 17.8%-ია.


2. ბანათლება

უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად, უმაღლესი და საშუალო პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა მართალია შემცირდა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა სწავლების და კადრების მომზადების ხარისხი.

2008-2009 წლების მონაცემებით იმერეთის რეგიონში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 10 ერთეულს შეადგენს, მათ შორის, 2 სახელმწიფო და 13 კერძო სასწავლებელია.

განათლების სფეროში ხელფასების დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2008 წელს 2003 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და 65,8 ლარიდან 153 ლარს მიაღწია.

საშუალო 806ნიმალური ხელფასი



3. სოციალური უზრუნველყოფა

პენსიონერების რიცხოვნობა იმერეთის რეგიონში 2009 წლის მონაცემებით დაახლოებით 160 ათას კაცს აღწევს, რაც მთლიანად საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის 18,8%-ს შეადგენს.

4. ჯანდაცვა

იმერეთის მოსახლეობას მომსახურებას უწევს საავადმყოფო-პოლიკლინიკური, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, პოლიკლინიკურ ამბოლატორიული გაერთიანებები, სამედიცინო-სასწრაფო დახმარება „03“ და ასევე, კერძო სამედიცინო დაწესებულებები, ჰოსპიტალი.

5. კულტურული და ისტორიული რესურსი

იმერეთი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობებით. რეგიონში 250-ზე მეტი ისტორიული ძეგლია. მათ შორის, აღსანიშნავია ტაძრები, ეკლესია-მონასტრები (ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, მოწამეთა, გელათის სამონასტრო კომპლექსი), ციხეები (თამარის ციხის ნანგრევები), ხიდები, აგრეთვე, აღსანიშნავია ქუთაისის მახლობლად, სათაფლიის ნაკრძალში აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალავი.

X საუკუნეში, ქუთაისში, მეფედ აკურთხეს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე – ბაგრატ III, ხოლო XI ს-ის ბოლოს აქ მეფედ ეკურთხა დავით აღმაშენებელი. 1122 წლამდე საქართველოს სამეფოს რეზიდენცია ქუთაისში მდებარეობდა. გელათის მონასტერი (XII ს.)

ერთდროულად რელიგიურ და საგანმანათლებლო ცენტრი იყო და 400 წლის განმავლობაში გელათის აკადემია ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო ცენტრი იყო მთელს მსოფლიოში.

იმერეთის ორი ისტორიული ძეგლი – **გელათის მონასტერი** და **ბაგრატის ტაძარი** მსოფლიო კულტურის საგანძურშია შეტანილი.

კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია:

- **თეატრები** – ქუთაისის ლაღო მესხი-შვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი; ქუთაისის მედიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი; ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი და სხვ.
- **სახლ-მუზეუმები** – ზაქარია ფალიაშვილის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გალაქტიონ ტაბიძის, რევაზ ლალიძის, უშანგი მხეიძის, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმები;
- ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ეთნო-გრაფიული მუზეუმი;
- სპორტული მუზეუმი და სხვ.

IV. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

2009 წლის I კვარტალში რეგისტრირებულ ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობამ 32285 შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა 12%-ს შეადგენს.

2. დასაქმება

2009 წლის I ნახევრისთვის დასაქმებულთა რაოდენობამ – 29 955 კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ბოლო მონაცემთან შედარებით 18%-ით შემცირდა, ხოლო მთლიანად საქართველოში დასაქმებულების 9,5% შეადგინა.


დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებამ 393.0 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ბოლო მონაცემთან შედარებით 26,6%-ით გაიზარდა.

2008 წელი	იმერეთი		საქართველო
	რაოდენობა	წილი	რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	376.0	20	1917.8
მომუშავე	331.7	21	1 601.9
დაქირავებული	82.8	14	572.4
თვითდასაქმებული	248.9	24	1 028.5
გაურკვეველი უმუშევარი	0.0	5	1.1
	44.2	14	315.8
უმუშევრობის დონე (%)	11.8	71	16.5
აქტიურობის დონე (%)	66.4	106	62.6
დასაქმების დონე (%)	58.6	112	52.3

3. ეკონომიკა

იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2 970,3 მლნ ლარი შეადგინა (2008 წლის მონაცემები), რაც საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 18%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის სექტორს უკავია, მთლიანი მოცულობის 18%, სახელმწიფო მმართველობას – 16%, სოფლის მეურნეობას – 13.3%, მრეწველობას – 12.5%, მომსახურებას – 11% და ა.შ.



აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა სახელმწიფო მმართველობის სექტორში 56%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ჯანდაცვის სექტორში – 23%, მომსახურების სექტორში – 23%, ვაჭრობის სექტორში – 22% და ა.შ.

რეგიონის ეკონომიკა წარმოდგენილია შემდეგი სექტორებით: მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

2008 წელი		იმერეთი		საქართველო
		რ-ბა	%	რაოდენობა
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	13 052	15,2%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	473,6	10,2%	4 637,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	525,5	13,8%	3 821,8
სამეწარმეო სფერო	დასაქმება (კაცი)	36 086	10,3%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	1 003,4	5,1%	19 650,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	701,0	6,8%	10 248,4
ტრანსპორტი და ავიაშირთბა.	დასაქმება (კაცი)	1 824	3,6%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	16,6	0,6%	3 004,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	14,4	0,7%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	3 241	8,5%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	38,1	2,7%	1 412,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	38,1	2,7%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	3 859	7,0%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	389,2	4,2%	9 238,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	34,3	2,3%	1 464,7

4. სოფლის მეურნეობა

იმერეთის მოსახლეობის 60%-მდე პირდაპირ ან ირიბად სასოფლო სამეურნეო სექტორს უკავშირდება.

რეგიონში სტრუქტურულად სასოფლო-სამეურნეო სექტორი კვლავ რჩება მცირე დანაწევრების მიწის ნაკვეთებისაგან შემდგარ მთლიანობად, სადაც მცირე ფერმერები, რომელთა განკარგულებაში 1 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთებია, აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

1996 წლიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 51% კერძო სექტორშია. აქედან ცალკეული სახეობების მიხედვით კერძო სექტორშია სახნავი მიწების 86%, მრავალწლიანი ნარგავების 80% და სათიბებისა და საძოვრების თითქმის 10%.

5. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით, იმერეთში მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ 4877 ერთეული შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 13.2%-ია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმო – 115;
- საშუალო საწარმო – 308;
- მცირე საწარმო – 4454.

რეგიონში მოქმედი მსხვილი საწარმოებია:

ქ. ქუთაისში 2009 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 40 მსხვილი საწარმო. მათ შორის, 15 ბითუმად მოვაჭრე, ხოლო 10 – საცალო ვაჭრობის კომპანიაა. ასევე, მოქმედია სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები, მათ შორის:

- შპს „აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი;
- სს „ქუთაისგაზი“;
- შპს „ქუთწყალკანალი“;
- შპს „ავტომექანიკური ქარხანა“ (ყოფილი შპს „მსოფლიო ტექნიკა“ + ქუთაისის შპს „ინდუსტრია“) და სხვ.

ზესტაფონი:

- შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ – თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება;
- სს „საქკაბელი“ – იზოლირებული სადენებისა და კაბელების წარმოება;
- სს „იმერეთი I“.

თერჯოლა:

- შპს „იბერია+“ – საცალო ვაჭრობა ძრავას სათბობით;
- შპს „ოდა“ – შენობების საერთო მშენებლობა.
- შპს „დე ენდ ვე“ – მერქნის ხერხვა და რანდვა;
- შპს „მუნღეიკ ჯორჯია“ – ელექტროენერჯის წარმოება პიდროელექტროსადგურების მიერ;
- შპს „ჩოლაბური“ – ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება – სოფ. ღვანკითი;

სამტრედია:

- შპს „სამტრედიაგაზი“ – აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა;
- შპს „ოუელი“ – საცალო ვაჭრობა ძრავას სათბობით.

სახხერე:

- სს „სახხერის ს/პ გაერთიანება“ – ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა;
- სს „სახხერე გაზი“ – აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა;

ტყიბული:

- შპს „საქნახშირი“ („ჯი-აი-ჯი ჯგუფი“) (ყოფილი შპს „საქინვესტი“) – ქვანახშირის მიწისქვეშა მოპოვება.

ხონი:

- შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და იძულებითი მკურნალობის ეროვნული ცენტრი“.

წყალტუბო:


- შპს „ჯამბული და ჯეირანი“ – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- შპს „ვარციხე 2005“ – ელექტროენერჯის წარმოება პიდროელექტროსადგურების მიერ;

ჭიათურა:

- შპს „ჭიათურის ავტოსადგური“ – საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირება.

6. პრივატიზაცია

2008 წელს იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში პრივატიზებულ იქნა 182 ობიექტი, რაც წინა წელთან შედარებით 22.1%-ით მეტია, ხოლო მთლიანი პრივატიზებული ობიექტების 28.8%-ს შეადგენს.



7. საზინანსო სექტორი

იმერეთის მხარე გამოირჩევა საბანკო სისტემის განვითარების მაღალი ხარისხით, რომლის ერთგვარი ცენტრია ქ. ქუთაისი. მთლიანად რეგიონში ფუნქციონირებს 7 მსხვილი ბანკი რამდენიმე ათეული ფილიალით.

აღსანიშნავია, რომ იმერეთის ბიზნეს სექტორისა და მოსახლეობისათვის დამახასიათებელია მზარდი მოთხოვნა თავისუფალ ფულად სახსრებზე. ინვესტიციების სიმწირის ფონზე, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ძირითადად ხდება საბანკო სესხებისა და უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების ხარჯზე. ამასთან, მზარდი ტენდენციით ხასიათდება მოთხოვნა გრძელვადიან პროექტებზე, რამაც, შესაბამისად, გაზარდა გრძელვადიანი სესხების მოცულობაც.

2007 წელს გრძელვადიანი სესხების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 78,3%-ით გაიზარდა და 102 მილიონ ლარს მიაღწია. მისი წილი მთლიან სესხებში 53%-ს შეადგენს. რაც შეეხება სესხების სავალუტო სტრუქტურას, ეროვნულ ვალუტაში გაიცა 84,74 მილიონი ლარის სესხი, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 106,4 მილიონი ლარის სესხი.

2008 წელს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად, მართალია გაცემული სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ იგი მაინც დარჩა 2006 წლის დონეზე.

8. საინვესტიციო პოტენციალი

- თავისუფალი ინდუსტრიული ზონები;
- მეტალურგია და ლითონგადამამუშავებელი წარმოება;
- ნახშირის მოპოვება-გადამამუშავება;
- გრანიტის, გამარმარილოებული მოსაპირკეთებელი ქვებისა და ფილების წარმოება;
- საფეიქრო მრეწველობის განვითარება;
- ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება;
- თიხნარის მიწებისა და მინერალური ქანების მოპოვება-დამამუშავება;

- ქუთაისის გადაქცევა ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების და სერვისული მომსახურების ცენტრად;
- გადამამუშავებელი წარმოების განვითარება;
- ვიშრის წარმოება;
- აბრეშუმის წარმოების განვითარება;
- ჩაის წარმოება;
- ტურიზმის განვითარება.

ინვესტიციები იმერეთის მხარის ეკონომიკაში

ლარებში

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ერთ სულ მოსახლეზე:					
	2002	2004	2007	ზრდის ტემპი %-ში 2004-2002	ზრდის ტემპი %-ში 2007-2004
საქართველო	416.7	635	1094	152.4	172.2
იმერეთის მხარე	46.6	62.6	120.4	134.3	192.3
იმერეთის მხარის ხვწილი ქვეყანაში %	11.2	10	11		

V. ტურიზმი

1. კოტენციური ტურიზმი

იმერეთს დიდი პერსპექტივა გააჩნია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მხარე მდიდარია მინერალური წყლებით, ისტორიული და კულტურული ძეგლებით.

ამჟამად იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა (საირმე, წყალტუბო, ნუნისი, სიმონეთი, სულორი, ჭითურის ხრეთი, სამტრედია, ზვარე, ამაღლება და სხვ.).

კურორტი წყალტუბო – მრავალპროფილიანი ბალნეოლოგიური კურორტი. განთქმულია თერმულ-რადიონული მინერალური წყლებით, რომელიც კურნავს სხვადასხვა სახის 60 დაავადებას;


სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს ტერიტორიაზე (345 ჰა), სადაც არის კარსტული გამოქვაბული;

კურორტი საირმე მდებარეობს ზღვის დონიდან 915-950მ სიმაღლეზე, გარშემორტყმულია ფიჭვნარით, რაც უნიკალურ მიკროკლიმატს ქმნის. კურორტი ცნობილია მინერალური წყაროებით, რომლებიც მდინარე წაბლარის ნაპირებზეა განლაგებული;

VI. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

1. საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები


2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა **25 677,4 ათასი ლარი** შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 5,4%-ია.



2. ქონების გადასახადი

2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ **9 608,9 ათასი ლარი** შეადგინა, რაც საქართველოში მთლიანად ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის 7,3%-ია.


რეგიონში, ისევე როგორც საქართველოს ყველა მხარეში, ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია, მთლიანი გადასახადის 63%.



3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულმა შემოსავალმა **2 632,9 ათასი ლარი** შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის 4,2%-ია. აღსანიშნავია, რომ რეგიონში ადგილობრივი მოსაკრებლის 73% მხოლოდ ქ. ქუთაისზე მოდის.

მოსაკრებლები მუნიციპალიტეტის მიხედვით (ათასი ლარი)



4. ფინანსური დახმარებები

სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეების ორგანიზაციებიდან იმერეთის ადგილობრივ ბიუჯეტში გრანტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა **71 300,9 ათასი ლარი** შეადგინა, რაც ყველა რეგიონში გრანტებიდან მიღებული შემოსავლების 8,3%-ია.

იმერეთის რეგიონში ტრანსფერების სახით გაცემულია 40 284,7 ათასი ლარი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთანაბრე	მიზნობრი		სუულ
		ათასი	ლარი	
ქ. ქუთაისი	5 074,0	908,0	9 374,4	15 356,4
ჭიათურა	1 211,0	295,0	1 146,8	2 652,8
ტყიბული	565,0	140,0	1 625,6	2 330,6
წყალტუბო	1 684,0	149,0	716,6	2 549,6
ბადღათი	947,0	108,0	673,8	1 728,8
ვანი	1 394,0	135,0	1 140,0	2 669,0
ზეხტაფონი	1 508,0	214,0	506,9	2 228,9
თერჯოლა	1 030,0	129,0	350,9	1 509,9
სამტრედია	1 387,0	287,0	1 414,2	3 088,2
სანხურე	1 354,0	168,0	592,2	2 114,2
სარაგაული	763,0	114,0	836,6	1 713,6
ხონი	1 147,0	143,0	1 052,7	2 342,7
სუულ	18 064,0	2 790,0	19 430,7	40 284,7